ხელშეკრულება №909-1

ქ. თბილისი

30 აპრილი 2018 წელი

სსიპ „თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა“ (ს/კ 202058520)შემდგომში „შემსყიდველი“, გენერალური დირექტორი ზურაბ წერეთლის სახით და შპს „სუფთა გარემო ჯორჯია“ (ს/კ204567058), შემდგომში - „შემსრულებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინე მაკარიძის სახით, ორივე ერთად კი წოდებული „მხარეები“, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში -"ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") - ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. "მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დასუფთავების ობიექტი" – "შემსყიდველის" საკუთრებაში არსებული ხელშეკრულების დანართი №1- ით განსაზღვრული უძრავი ქონება, რომელთა სხავადასხვა სახის დასუფთავება უნდა უზრუნველყოს "მიმწოდებელმა";

1.6. "დღე", "კვირა", "თვე" - ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების მომსახურების შესყიდვა.სსიპ „თბილისის მთავარი ბიბლიოთეკისა “ და მისი ფილიალებისათვის.

CPV – **90920000** - შენობა-ნაგებობების სანიტარიული მომსახურებები

3. ხელშეკრულების ღირებულება და ანგრაშისწორების წესი

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 1000 (ათასი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3.2. დასასუფთავებელი ობიექტის დასუფთავების მომსახურების ღირებულებები განსაზღვრულია დანართი №1- ით.(პრეისკურანტი)

3.3. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო, ეროვნულ ვალუტაში.

3.4. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

3.5. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესახებ, მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.6. ანგარიშსწორებისათვის "მიმწოდებელი" ვალდებულია წარუდგინოს "შემსყიდველს" შემდეგი დოკუმენტაცია:

3.7. მიღება-ჩაბარების აქტი;

3.8. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში)

4. .შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. გაწეული მომსახურების მიღება (მიღება-ჩააბარების აქტის გაფორმება) განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული მომსახურებისა და დანართი # 1-ში მითითებული ფასების შესაბამისად.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტი დგება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო-თითო გადაეცემათ მხარეებს.

4.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: სსიპ „თბილისის მთავარი ბიბლიოთეკისა “ შესაბამისი ფილიალის გამგე.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურება მის მიერ განხორციელდება ჯეროვნად, ხარისხიანად და კეთილსინდისიერად.

5.2. მომსახურების გაწევის პროცესში გამოყენებული რესურსი (ადამიანური/ტექნიკური) უნდა აკმაყოფილებდეს ხელშეკრულების მიზნების მისაღწევად საჭირო სტანდარტებს, იყოს გამართული და დადგენილი რაოდენობის.

5.3. მომსახურების გაწევისას მიმწოდებელმა უნდა გამოიყენოს ისეთი პრეპარატები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან.

5.4. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შემსყიდველის წინასწარი გაფრთხილების გარეშე და მასთან შეუთანხმებლად არ გადასცემს მესამე პირ(ებ)ს მის უფლებებსა და ვალდებულებებს ან/და მათ ნაწილს.

6. ვადები

6.1. მომსახურების მიწოდების ვადა: 2018 წლის 16 აპრილიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.2. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება და 2(ორი) კვირით ადრე აცნობოს მიმწოდებელს ხელშეკრულების მოქმედების, მომსახურების მიწოდების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ.

6.3. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მომსახურების მიწოდების ვადის ამოწურვიდან 1(ერთი) თვი ს მანძილზე.

6.4. ხელშეკრულების ვადების ცვლილება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

7.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

7.1.1. მოითხოვოს გაწეული სამუშაოს დროული ანაზრაურება.

7.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:

7.2.1. მოითხოვოს "მიმწოდებლისაგან" მასზე დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად და დროულად შესრულება;

7.2.2. მიმწოდებლის თანამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასათანადოდ, არაჯეროვნად ან/და სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, აცნობოს ამის შესახებ მიმწოდებელს;

8. ხელშეკრულების პიროებების შეუსრულებლობა

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტხელო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს ჯამური რაოდენობა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 10 %-ს შემსყიდველი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდე ბულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სხვა პირობები

11.1. მხარეებს შორის წამოჭრლი დავები გადაწყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, წინააღმდეგ შემთხვევაში დავა განსახილველად გადაეცემა სასამართლოს.

11.2. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება, შესწორება და დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

11.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი შემსყიდველს.

11.5. მხარეები ვალდებულები არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს რეკვიზიტის ნებისმიერ მონაცემის ცვლილების შესახებ.

12. მხარეთა იურიდიული მისამართი და ხელმოწერა:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა	შპს სუფთა გარემო ჯორჯია
ს/კ 202058520	ს/კ 204567058
მის: გ.ტოვსტონოგოვის ქ. N *2*	ქ.თბილისი ალექსიძის ქუჩა 7 მე-2 სად. 11
ტელ: 2 96 97 03 / 04	ტელ.596-04-49-49, 599-70-64-66
ბანკი - სახელმწიფო ხაზინა	ს.ს. „საქართველოს ბანკი“
კოდი - TRESGE 22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE24NB03301002001165022	ა/ა GE08BG0000000331277200
გენერალური დირექტორი	დირექტორი
ზურაბ წერეთელი	მარინე მაკარიძე

დასახელება	ერთი ობიექტის ფიზ. ფართობი	ერთეული	ერთი ობიექტის ერთეჯერადი მომსახურების ღირებულება	
სადეზინფექციო მომსახურება	100	მ/კვ	25.00	
სადეზინფექციო მომსახურება	150	მ/კვ	35.00	

შემსყიდველი:
სსიპ - თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა

გენერალური დირექტორი
ზურაბ წერეთელი

მიმწოდებელი:
შპს სუფთა გარემო ჯორჯია

დირექტორი
მარინე მაკარიძე